**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იობელისი

იობელისი, რქისაგან დამზადებული ძველი ჩასაბერი საკრავი. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით „საყვირია მოკეცილი". მოიხსენიება „დაბადების" ქართ. თარგმანში. სტვირსა და ქნარზე დამკვრელთა წარმომავლობას კაენის შთამომავალ იუბალს უკავშირებენ. შესაძლოა, „ნესტუნი იობელისნი" იუბალისეულ ჩასაბერ საკრავებს აღნიშნავდეს.

*ლიტ.*: შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი ე., ბუკი, «ახალგაზრდა ეთნო-მუსიკოლოგთა კონფერენციის მასალები», თბ., 2014; ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე ო., საკრავები ძველ საქართველოში, თბ., 2009.

***ნ. კალანდაძე***